სსიპ შემოქმედებითი საქართველო

კონკურსი

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

1.1. კონკურსის მიზანი:

ა) საქართველოს, როგორც წევრი სახელმწიფოს მიერ 2005 წლის 20 ოქტომბერს მიღებული UNESCO-ს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ კონვენციის 20 წლის იუბილეს აღნიშვნა
ბ) საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების დაცვა, წარმოჩენა, პოპულარიზაცია და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავების ხელშეწყობა;
გ) დმანისის, ნინოწმინდის, ახალციხის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი ღონისძიებების (გამოფენა, კონცერტი, სპექტაკლი, ლექცია-სემინარი, ფესტივალი, კინოჩვენება და სხვა) მხარდაჭერა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შემდგომ - კონკურსანტი).
2.2. აღნიშნულ კონკურსში კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარდგენა.
2.3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.
2.4. საჭიროების შემთხვევაში სსიპ შემოქმედებითი საქართველოს (შემდგომ - შემოქმედებითი საქართველო) შეუძლია კონკურსანტს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
2.5. კონკურსში საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს **2025 წლის 10 ოქტომბრისა,** ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს **2025 წლის 10 დეკემბრისა.**
2.6. კონკურსისათვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 120 000 (ასი ოცი) ლარს, რომლის ფარგლებშიც დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

3.1 კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

„კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განცხადება (დანართი №1), სსიპ შემოქმედებითი საქართველოს დირექტორის (შემდგომ - დირექტორი) სახელზე.

ბ) საკონკურსო განაცხადი (დანართი №2.1 და №2.2) - განმცხადებელი ვალდებულია საპროექტო განაცხადი, კერძოდ, დანართი №2.2 წარმოადგინოს როგორც კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმოწერილი ფორმით, ასევე, ელექტრონული სახით (Microsoft Excel-ის ფორმატში).

გ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები/სახაზინო კოდი;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ამონაწერი უნდა იყოს ბოლო 12 თვის მანძილზე განახლებული);

ე) წარმომადგენლის მეშვეობით დოკუმენტაციის წარდგენისას, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ინფორმაცია პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შესახებ და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მისი არსებობის შემთხვევაში);

ზ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/ პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება გულისხმობს რაიმე ტიპის ნებართვის აუცილებლობას.

3.2 კონკურსის ფარგლებში, კონკურსანტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე, წარმოადგინოს დაზუსტებული განაცხადი ან/და დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

აკონკურსო განაცხადებს აფასებს და განიხილავს საკონკურსო კომისია.

აკონკურსო კომისიის მიერ განაცხადების შეფასება ხორციელდება 30 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და საკონკურსო დებულებით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-15
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა)	0-5
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
სულ		**30**

როექტების შეფასების შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ) პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის შესახებ.

4.4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პირველი და მეორე კრიტერიუმის მიხედვით. თუ ორმა ან რამდენიმე საკონკურსო პროექტმა, ამ წესის შესაბამისად, კვლავ დააგროვა თანაბარი ქულები, გამარჯვებული გამოვლინდება კენჭისყრის საფუძველზე.

4.5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს დაზუსტებული განაცხადის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამ პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი დაზუსტებული განაცხადი ან/და დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია კონკურსანტის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ფორმით დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტის განაცხადი აღარ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება კონკურსანტს. ობიექტური მიზეზების არსებობის და დადასტურების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს დამატებით 5 სამუშაო დღით.

4.6. დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების შერჩევისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში თუ შემოქმედებითი საქართველოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პროექტის განმახორციელებელი პირის ბრალეულობით ვერ გაფორმდა ხელშეკრულება, შემოქმედებითი საქართველო უფლებამოსილია გააუქმოს პროექტის დაფინანსების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

აფინანსებული პროექტის სათანადოდ განხორციელების მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის განმახორციელებელი პირის წერილობითი მოთხოვნისა და დასაბუთების საფუძველზე, საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის გარეშე პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25%-ის ოდენობით. 25%-ზე მეტი ოდენობით წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელი პირი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო/სადაზღვევო გარანტია.

მუხლი 5. კონკურსის ვადები

აკონკურსო განაცხადები მიიღება **2025 წლის 20 აგვისტოდან 2025 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით,** ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@creativegeorgia.ge

ნფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება შემოქმედებითი საქართველოს სოციალურ ქსელებში არაუგვიანეს **2025 წლის 30 სექტემბრისა.** ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ინფორმაცია დამატებით ეცნობება ყველა კონკურსანტს.

დანართები:

ა) ,,კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანება;

ბ) განცხადება (დანართი №1).

გ) საკონკურსო განაცხადი (№2.1 და დანართი №2.2)

დ) დაზუსტებული ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი №3)

ე) შესრულების ანგარიში (დანართი №4.1; N4.2).